ხელშეკრულება №2

(CVP:92312212 - სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი აგვისტო 2020 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში-,,ლიცენზიატი“), წარმოდგენილი დირექტორის დავით ფარცვანიას სახით, და მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელი შპს ”გამომცემლობა ინტელექტი“ (შემდგომში - ,,საავტორო უფლების მფლობელი“) წარმოდგენილი დირექტორის კახმეგ კუდავას (პირადი №01008014638) სახით (ერთობლივად „მხარეები”),

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2017 წლის 05 აპრილს გაფორმებული №01 ლიცენზიის ხელშეკრულების ფარგლებში 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელისათვის, ლიცენზიატის მიერ ჰონორარის სახით გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10%-ის გადახდა.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის ოდენობა შეადგენს 61020.9 (სამოცდაერთი ათას ოცი ლარი 90 თეთრი) ლარს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია:
2. ა) მოსთხოვოს ლიცენზიატს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი,
3. მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის გადახდა საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

ბ) მოსთხოვოს ლიცენზიატს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2. ლიცენზიატი ვალდებულია:

ა) საავტორო უფლების მფლობელს, საავტორო ჰონორარის სახით გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისი ღირებულების 10%.

ბ) დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და პირობები.

3. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო უფლების მფლობელის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საავტორო ჰონორარი მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ან მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადავადდება აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

მუხლი 6. დამატებითი პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

მუხლი 7. რეკვიზიტები

ლიცენზიატი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მის.: ქ.თბილისი, მ.ალექსიძის ქ.№2
ს/კ 202294980

საავტორო უფლების მფლობელი

შპს "გამომცემლობა ინტელექტი"
მის: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50
ს/კ 202959101 ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. GE05TB7119536060100001

შედარების აქტი

ქ. თბილისი -- აგვისტო 2020 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „სააგენტო“), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსის - ზვიად ჩანტლაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ **შპს "გამომცემლობა ინტელექტი“** (შემდგომში „გამომცემელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახმეგ კუდავას (პირადი №01008014638) სახით, ვადგენთ შედარების აქტს მასზედ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2017 წლის 05 აპრილს გაფორმებული №01 ლიცენზიის ხელშეკრულების ფარგლებში 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, „სააგენტოს“ მიერ „გამომცემლი“-ს საბანკო ანგარიშზე გადასარიცხი თანხა შეადგენს 61020.9 (სამოცდაერთი ათას ოცი ლარი 90 თეთრი) ლარს.

შედარების აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“	შპს "გამომცემლობა ინტელექტი“
----------	----------

გამომცემლობა	საგნის დასახელება	კლასი	წიგნის/რვეულის კოდი	წიგნების/რვეულების ჩამონათვალი	ტირაჟი	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება / ლარი	გასაცემი ჰონორარი (10%)
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	მათემატიკა (I-XII კლასები)	9	137	წიგნი	9200	7	64400	6440
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	მუსიკა (I-IX კლასები)	9	157	წიგნი	5000	2.21	11050	1105
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ფიზიკა (VIII-XI კლასები)	9	170	წიგნი	7000	3.84	26880	2688
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ქიმია (VIII-XI კლასები)	9	176	წიგნი	7300	3.83	27959	2795.9
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ფიზიკა (VIII-XI კლასები)	9	170რ	რვეული	29200	2.03	59276	5927.6
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ქიმია (VIII-XI კლასები)	9	176რ	რვეული	29700	1.48	43956	4395.6
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ფიზიკა (VIII-XI კლასები)	10	210	წიგნი	6000	3.01	18060	1806
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	მათემატიკა (I-XII კლასები)	10	220	წიგნი	7500	6.37	47775	4777.5
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ქიმია (VIII-XI კლასები)	10	293	წიგნი	6300	5.57	35091	3509.1
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ფიზიკა (VIII-XI კლასები)	10	210რ	რვეული	25500	1.63	41565	4156.5
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ქიმია (VIII-XI კლასები)	10	293რ	რვეული	25500	2.08	53040	5304
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	მათემატიკა (I-XII კლასები)	11	201	წიგნი	5400	6.93	37422	3742.2
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ფიზიკა (VIII-XI კლასები)	11	270	წიგნი	5200	3.04	15808	1580.8
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ქიმია (VIII-XI კლასები)	11	306	წიგნი	5300	3.76	19928	1992.8
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ფიზიკა (VIII-XI კლასები)	11	270რ	რვეული	22400	1.63	36512	3651.2
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	ქიმია (VIII-XI კლასები)	11	306რ	რვეული	22100	1.43	31603	3160.3
შპს "გამომცემლობა ინტელექტი"	მათემატიკა (I-XII კლასები)	12	231	წიგნი	5200	7.67	39884	3988.4

ზურაბ ტლაძე

პ. კუდავა